ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის №01-06/09 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი
(სხდომა ჩატარდება დღის 11:00 საათზე)

1. „ „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს 2019 წლის ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს დირექტორი მალხაზ სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორგილაძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

2019 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

„ „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ „ ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შესაბამისი შესწორებული სამართლებრივი აქტის პროექტის წარმოდგენიდან ერთი კვირა.“

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის გამართვიდან ერთი კვირა“

2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

3. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

4. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს 2019 წლის ინფორმაცია
არსებული მდგომარეობის შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს 2019 წლის ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

დანართი №1

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ - ს 2019 წლის ინფორმაცია
არსებული მდგომარეობის შესახებ

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ დღეის მდგომარეობით ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ა) ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება;

ბ) დასახლებებში მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა;

გ) ქუჩების, მოედნების, პარკების, სკვერების და ადმინისტრაციული ცენტრების გარე განათების სისტემის კეთილმოწყობა და ექსპლუატაცია.

დ) საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა.

ე) ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან და სოფლებიდან ნარჩენების გატანას.

ვ) ტურისტული ზონების ტერიტორიის დასუფთავება და მოვლა პატრონობა.

ზ) შპს „ქედის კომუნალურსერვის“-ზე რიცხული ორი ერთეული ტრაქტორი ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ახორციელებს ჩამოწოლილი მეწყერისა და გზის გაწმენდით სამუშაოებს.

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბიუჯეტი განისაზღვრება 545000 ლარით, აქედან:
შრომის ანაზღაურება შეადგენს - 238200 ლარს - აქედან გახარჯულია 91487 ლარი.
ოფისის ხარჯები - 65520 ლარი - აქედან გახარჯულია - 65263 ლარი აქედან ელექტროენერგიის საფასურია გადახდილი - 37925 ლარი .
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შესაძენად - 7300 ლარი აქედან გახარჯულია -310 ლარი.
საწვავი-საპოხი მასალის შესაძენად - 156400 ლარი აქედან გახარჯულია - 55671 ლარი.
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები- 38500 ლარი აქედან გახარჯულია -16237 ლარი.

ცხოველების გაუნველყოფა - 4875 ლარი აქედან გახარჯულია - 4875 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურეობისათვის 34775 ლარი აქედან გახარჯულია 2181 ლარი.

მუნიციპალიტეტის 64 სოფლიდან და ცენტრებიდან სისტემატიურად ვახდენთ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას.

მ/წლის განმავლობაში ჩატარდა დასუფთავების აქცია 2-ჯერ.

სისტემატურად ხდება ნაგვის კონტეინერების შეკეთება.

ყოველდღიურად სუფთავდება დაბა ქედისა და აწჰესის დასახლების ქუჩები, პარკები და სკვერები.

სისტემატიურად სუფთავდება საზოგადოებრივი სარგებლობის სანიტარული კვანძები.

სისტემატიურად ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოვლა პატრონობა.

სისტემატიურად ვახდენთ მუნიციპალიტეტის სოფლებში განვითარებული მეწყერების გაწმენდას.

მ/წლის 5 თვეზე მუნიციპალიტეტის 71 სოფელში გაიწმინდა მეწყერი.

მძიმე ტექნიკამ იმუშავა 493 საათი და გაიხარჯა 17212 ლარის საწვავი.

მ/წლის 5 თვეზე მუნიციპალიტეტიდან გავიდა 147 რეისი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ნაგავმზიდ ა/მანქანებზე გაიხარჯა 20383 ლარის საწვავი.

შპს „ქედის კომუნალურსერვისზე“ რიცხულ ა/მანქანებზე გაიხარჯა-18076 ლარის საწვავი.

დღეის მდგომარეობით საწვავის ხარჯი შეადგენს 55671 ლარს აქედან 8060 ლარი არის 2018 წლის დავალიანება, რომელიც დაიფარა იანვრის თვეში.

2018 წელში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩვენს ორგანიზაციაზე გადმოცემული იქნა სპეც. ა/მანქანა მანი, რომელზეც დაინიშნა 1 მძღოლი და 2 ოპერატორი, რომელთა სახელფასო ანაზღაურება დამატებული იყო მხოლოდ 5 თვის. ხოლო ბოლო 4 თვის ხელფასი 5200 ლარი ანაზღაურებული იქნა ორგანიზაციის მიერ. აგრეთვე ა/მანქანა მანზე არ იყო გათვალისწინებული საპოხი მასალების 800 ლარი და საბურავების თანხა 4320 ლარი. მე-4 კვარტალში ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩვენს ბალანსზე რიცხული ჯ.ს.პ. ტიპის ტრაქტორით შეზიდული იქნა ბეტონი გზების მოსაპირკეთებლად, რაზეც დამატებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან ავიღეთ ნებართვა 800 (რვაასი) ლიტრი საწვავის დამატებაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1920 ლარი, რომლის დაფარვა მოვახდინეთ ორგანიზაციის თანხებიდან. აგრეთვე 2018 წლის ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეტის 28 სოფელში გარე განათების ქსელში ჩასართავად დაიხარჯა 2800 ლარი და დაერთებისთვის, სადენის შესაძენად 340 ლარი, აგრეთვე დაბა ქედაში ყ.შერვაშიძის ქუჩაზე მოხდა საფეხურის ცვლა თანხით 300 ლარი.

ზემოთ აღნიშნული დავალიანებების დაფარვა მოხდა, ორგანიზაციის 2019 წლის ბიუჯეტიდან იანვრის თვეში.